



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრძელიძე თეიმურაზ ივანეს ძე

გრძელიძე თეიმურაზ ივანეს ძე (დ. 5. VIII. 1956, ბათუმი), გენერალ-მაიორი (1994).

დაამთავრა საქართველო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1978). 1978–80 მუშაობდა საკავშირების სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტში ინჟინრად. 1980–81 იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ქ. მინსკის უმაღლესი კურსების კურსსანტი.

1981 მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საპატიო თანამშრომელი (1996). 1997–2000 იყო საქართველოს დამზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 2000–01 – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე, ხოლო 2001–04 – საქართველოს დამზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1996) და II ხარისხის (2001) და ღირსების (1996) ორდენებით.

ლ. დოლიძე
